



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ მიერ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

10 სექტემბერი, 2021

1. პროცესის შესაბამობა კანონის მოთხოვნებთან

2019 წლის 3 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე [გამოქვეყნდა](#) ქ. ზესტაფონში, შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება. განცხადებას თან ერთვის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი. 2019 წლის 15 ივლისს ჩატარდა წარდგენილი დოკუმენტაციის საჯარო განხილვა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, სამინისტრო მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ატარებს ექსპერტიზას, რომლისთვისაც მინისტრის ბრძანებით იქმნება საექსპერტო კომისია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საჯარო განხილვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 50-ე კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მე-60 კალენდარული დღისა სამინისტრო იღებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

სამინისტროს N 11296/01 წერილის თანახმად, 2019 წლის 18 ნოემბრის წლის მდგომარეობით სამინისტროში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ ქალაქ ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამასთან სამინისტრომ ვერ გადმოგვცა ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტის ასლი. მხოლოდ 2020 წლის 14 აპრილს [გამოაქვეყნდა](#) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განცხადება ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების შესახებ.

10 თვიანი მსჯელობის შემდეგ სამინისტრომ, კანონის უხეში დარღვევით, კომპანიას წარდგენილ დოკუმენტაციაზე შენიშვნები გაუგზავნა და შემდეგი ინფორმაციის წარდგენა დაავალა :

- შემუშავდეს და წარმოდგენილი იყოს დეტალური/კონკრეტული ღონისძიებები ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ნავთობპროდუქტების სეპარაციის სისტემის რეაბილიტაციის, შეწონილი ნაწილაკების დალექვის შედეგად დაგროვილი შლამის შესქელებისათვის საჭირო კოქსის ფილტრის დამონტაჟებისა და შლამისაგან გაწმენდის სიხშირის დადგენის შესახებ;

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

- ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს თანამედროვე ტიპის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საპროექტო ღონისძიებები და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი დეტალური ინფორმაცია (აღწერა) ვადების მითითებით;
- სანიაღვრე წყლების გაწმენდის გარეშე მდინარე ყვირილაში ჩაშვების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს სანიაღვრე არხზე (გამწმენდ ნაგებობაში წყლის ჩაშვებამდე) მოწყობილი ე.წ. ავარიული დამბის აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა ვადების მითითებით;
- წარმოდგენილი იქნეს დეტალური ინფორმაცია N1 საამქროს გაგრილების სისტემისთვის გამოყენებული წყლის დარბილების სისტემაში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მოწყობის, აღნიშნული გამწმენდი ნაგებობიდან წარმოქმნილი წყლის რაოდენობისა და მართვის შესახებ (შესაბამისი გათვლებით);
- ჩამდინარე წყლების ნორმირებული გაწმენდის უზრუნველსაყოფად ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე წყლების ე.წ. ქალაქის არხისაგან, გურულების და ნამიჭაურის დელეებისაგან განმხოლოებული შემკრები სისტემის და გამყვანი კოლექტორის მოწყობის ღონისძიებებთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი დეტალური გეგმის მომზადება და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა;
- წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები და ვადები N1 საამქროს საკაზმე განყოფილების შენობით უზრუნველყოფის შესახებ (შემოსაზღვრა ან სხვა).
- წარმოდგენილი იქნეს საწარმოში არსებული ხმაურის წყაროების (მოწყობილობის) საპასპორტო მონაცემები, შესაბამისი გათვლებით;
- წარმოდგენილი იქნეს წილის სეპარაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენის გამოყენების შესაძლებლობის დასაბუთება, საავტომობილო გზების მოწყობასა და სამშენებლო მასალების წარმოებაში. ამასთან მათი მეორადი რესურსული პოტენციალის შეფასება და კონკრეტული ღონისძიებები შემდგომი გადამუშავების და წარმოებაში გამოყენების მიზნით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ძირითადი და დამხმარე ნედლეულის/მასალების (მათ შორის კირქვის), ნაყარი ტვირთის (მზა პროდუქციის) ტრანსპორტირების მარშრუტის და სქემის (თითოეული სატრანსპორტო გზის მანძილების მითითებით), ასევე სატრანსპორტო გზების მორწყვის პერიოდულობა და კონკრეტული გეგმა/გრაფიკი ამასთან, გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ძარაგადახურული ავტოტრანსპორტით, ხოლო ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული ავტომობილების ძარისა და საბურავების გარეცხვა, მათ დასახლებულ პუნქტებში გადაადგილებამდე;
- წილის სეპარაციის უბანზე წარმოქმნილი საწარმოო წყლების გაწმენდისა და სრული ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები და შესრულების ვადები (მაგ. არსებული სალექარის რეაბილიტაცია ან/და დამატებითი სალექარის მოწყობა). ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს სალექარიდან ამოღებული შლამის ბაქნის (მოედნის) შესახებ (იმგვარად, რომ შლამი დაიწრიტოს და წარმოქმნილი წყალი მოხვდეს სალექარში) კონკრეტული ღონისძიებები;
- წარმოდგენილი იქნეს N1 და N4 საამქროებში სავენტილაციო სისტემების ჰერმეტიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ და N4 საამქროში სავენტილაციო სისტემების და მტვერდამჭერების სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ კონკრეტული ღონისძიებები, შესრულების ვადების მითითებით.
- სადნობი ღუმელების მტვერდამჭერ დანადგარებზე მფილტრავი ელემენტების (ქსოვილოვანი ფილტრი) ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული ღონისძიებები;
- ღუმელების მტვერდამჭერებიდან გაფრქვეული მტვრის რაოდენობრივი შეფასების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნეს ცალკეული ღუმელის მტვერდამჭერი დანადგარის გამოსავალზე, მტვრის

კონცენტრაციის მუდმივი აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ავტომატური აღრიცხვის სისტემის დანერგვის შესახებ, კონკრეტული/დეტალური საპროექტო ღონისძიებების წარმოდგენა შესრულების ვადების მითითებით.

- წარმოდგენილი იქნეს მზა პროექტის სამსხრევ-დამხარისხებელ და დაფასოების უბნებზე არსებული მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების, მათი გამართულ მდგომარეობაში მოყვანის და ეფექტური ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს წილის ავზებში ჩასხმა-გაგრილების დროს არაორგანიზებული გაფრქვევების შემცირების შესაძლო ღონისძიებები შესრულების ვადების მითითებით.
- ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს საწარმოში არსებული აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება, მათი გაწმენდის ხარისხი (როგორც საპროექტო/საპასპორტო, ისე ფაქტობრივი მაჩვენებლები).
- ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს N1 და N4 საამქროების ღუმელებიდან შენადნობთა გამოშვების და ჩამოსხმის (არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების) ოპერაციების მავნე ნივთიერებათა შემკრებით (მაგ. ქოლგების ან სხვა შესაძლო საშუალებით) აღჭურვის (მათ შორის მტვერდამჭერი სისტემებით) შესახებ შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები. ერთ-ერთი ალტერნატივის სახით, პროექტში განხილული უნდა იყოს მოცემული უბნების დამოუკიდებელი ასპირაციული სისტემით/ მტვერდამჭერი სისტემებით აღჭურვის შესაძლებლობა.
- გაფრქვევის წყაროებიდან ინსტრუმენტული გაზომვებით მიღებული ემისიების რაოდენობრივი მაჩვენებლების დასაბუთების მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია თითოეულ წყაროზე ინსტრუმენტული გაზომვების შედეგების, მიღებული კონცენტრაციების, მეთოდების, სიხშირის, ჯერადობის და განმარტოვებული ორგანიზაციის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ემისიის რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა საანგარიშო მეთოდის გამოყენებით, ნაჩვენები უნდა იყოს დეტალური ანგარიში.
- მოხდეს საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სანაყაროს იდენტიფიცირება და მათი გათვალისწინება გაფრქვევების ანგარიშში. სანაყაროებიდან გაფრქვევების შემცირების მიზნით, შემუშავებული უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი, კონკრეტული ვადებით. ზემოაღნიშნული საკითხების ამსახველი დოკუმენტაცია შეთანხმდეს სამინისტროსთან. ასევე სანაყაროებიდან დაწრეტილი წყლის რეგულირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს წყალშემკრები (წყალამრიდი) არხების მოწყობის შესახებ შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებების წარმოდგენა;
- დადგენილი იყოს ონლაინ მონიტორინგის სადგურებთან დამოუკიდებელი ლაბორატორიის მიერ საკონტროლო გაზომვების ჩატარებისა და მიღებული შედეგების სამინისტროში წარმოდგენის პერიოდულობა. ამასთან განისაზღვროს მეტროლოგიური პროცედურების ჩატარება (კალიბრაცია) და ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს სამინისტროში;

სამინისტრომ ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში წარდგენა მოითხოვა. კომპანიამ დოკუმენტაცია 15 თვის შემდეგ 2021 წლის 5 აგვისტოს წარმოადგინა.

2021 წლის 10 აგვისტოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე [გამოქვეყნდა](#) განცხადება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე და შენიშვნების წარდგენის ვადად 2020 წლის 10 აგვისტო იქნა მითითებული. 2021 წლის 13 აგვისტოს [გამოქვეყნდა](#) განცხადება 2021 წლის 10 აგვისტოს განცხადებაში ტექნიკური ხარვეზის შესახებ და შენიშვნების წარდგენის თარიღად ნაცვლად 10 აგვისტოსა, 10 სექტემბერი განისაზღვრა.

გაურკვეველი საფუძვლით, სამინისტრომ ჩათვალა, რომ დაინტერესებულ საზოგადოებისათვის საკმარისია 28 კალენდარული დღე 2 წლის წინ გამოქვეყნებული დოკუმენტების, სამინისტროს შენიშვნების და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების კომპილაციის, შედარებისა და საკუთარი

მოსაზრებების წარმოდგენისათვის. ამასთან, როგორც ჩანს, სამინისტრო თვლის, რომ 2 წლის წინ სრულიად ფორმალურად წარდგენილი (სამინისტროს შეფასებითვე კანონის მოთხოვნის შეუსაბამო) დოკუმენტაციის საჯარო განხილვის მოწყობით, მოიხდა საზოგადოებისა და კანონის წინაშე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო განხილვის ჩატარების ვალდებულება და არ გეგმავს ახლად წარდგენილი დოკუმენტაციის საჯარო განხილვას.

ამასთან, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ კვლავ არ არის შესწავლილი და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი რიგი საკითხების შესახებ ინფორმაცია.

2.1 საწარმოო ტერიტორიის დახასიათება

ზესტაფონის ფეროს ვიზუალური დათვალიერების, ასევე, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი ფოტომასალის გაცნობითაც, ნათელია, რომ საწარმოს შენობები მთლიანად მოძველებულია და ქარხანა სრულყოფილ რეაბილიტაციას საჭიროებს.

შენობების მსგავსად, მოძველებულია ქარხანაში არსებული დანადგარ-მოწყობილობები და კომპანიას ამ ეტაპზე მათი საპასპორტო მონაცემებიც კი არ გააჩნია. „ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა ექსპლუატაციაში ათეული წლების განმავლობაში, კერძოდ: ქარხანა ამოქმედდა 1933 წელს და შესაბამისად დანადგარ-მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოტანილია დიდი ხნის წინათ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქარხანას ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების საპასპორტო მონაცემები ხმაურის გავრცელების დონეების თაობაზე არ გააჩნია.“ მიგვაჩნია, რომ კომპანია ამ მიმართულებით უნდა გეგმავდეს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას, კერძოდ საწარმოს გადაიარაღებას და ახალი დანადგარებით აღჭურვას, რაც ამ ეტაპზე არ არის განხილული.

2.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

1. ქ. ზესტაფონსა და მიმდებარე სოფლებში ჰაერის დაბინძურების პრობლემა იმდენად თვალსაჩინოა, რომ არც კი საჭიროებს განსაკუთრებულ მტკიცებას. ქალაქის დაბინძურების შეფასება და ქარხნიდან წამოსული გამონაბოლქვის დანახვა, ხშირ შემთხვევაში თვალნათლივ არის შესაძლებელი. დაბინძურება ხდება როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული წყაროებიდან და სოციალურ სივრცეში ამის დამადასტურებელი არაერთი მასალა არსებობს¹.

ამ რეალობის ფონზე, აუდიტის ანგარიშში არაერთხელ ვხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მავნე ნივთიერებების გადაჭარბებას ადგილი არ აქვს. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2019 წლის „თებერვლის თვეში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი ქ. ზესტაფონში წარმოებდა ჩიკაშუას ქუჩაზე განთავსებულ სადამკვირვებლო პუნქტზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციები: მტვერი, ნახშირჟანგი, გოგირდის, აზოტისა და მანგანუმის დიოქსიდები. როგორც ცხრილიდან ჩანს თებერვლის თვეში ქ. ზესტაფონის ატმოსფერულ ჰაერში ყველა გაზომილი დამაბინძურებელი ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები ნორმის ფარგლებში იყო“. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთი თვის მონაცემების მოყვანა, იმის დასამტკიცებლად, რომ დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციების გადაჭარბებას ადგილი არ აქვს, არაფრის მომცემია. ამასთან, გაზომვები უნდა მომხდარიყო ფერომენადნობი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა ჩიკაშუას ქუჩაზე, რომელიც ქარხნიდან ბევრად მოშორებულია.

¹ იხ. ფოტო წყარო: სამოქალაქო აქტივობა „ჩემი ქალაქი მკლავს“

2. როგორც ანგარიშებიდან ირკვევა, კომპანიაში უკვე დანერგილია ონლაინ მონიტორინგის სისტემა და მისი ექსპლუატაცია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ეს მონაცემები სამწუხაროდ დაინტერესებული საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია. მიგვაჩნია, რომ ონლაინ მონიტორინგის სისტემიდან მიღებული მონაცემები, ასევე უწყვეტ რეჟიმში უნდა მიეწოდებოდეს დაინტერესებულ საზოგადოებას. გარდა ამისა, პერიოდულად უნდა მოხდეს სამინისტროს მიერ მონიტორინგის სისტემის შემოწმება.

3. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ღია სანაყაროები წარმოადგენს. კომპანიას როგორც გადასამუშავებლად დასაწყობებული ნედლეული, ასევე საწარმოო ნარჩენები ღია სანაყაროებზე აქვს დასაწყობებული და მომავალშიც გეგმავს ამგვარად გააგრძელოს. შემარბილებელ ღონისძიებად მხოლოდ მშრალ ამინდებში სანაყაროების პერიოდული დანამკვა არის განსაზღვრული. როგორც ჩანს, კომპანიას ეს მეთოდი უკვე აქვს დანერგილი ქარხანაში. არ არის შეფასება გაკეთებული, რამდენად ეფექტურია ამგვარი ღონისძიების გატარება, რა შედეგის მომცემია. გაურკვეველია, დამატებით რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება ქარიან ამინდში.

4. ქარხნის ძირითადი ნედლეულით მომარაგება რკინიგზის საშუალებით ხდება, რომელიც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ზესტაფონში მცხოვრები ადამიანები, ხშირად ჩივიან ამ პრობლემის გამო. სოციალურ ქსელშიც არაერთხელ გავრცელებულა აღნიშნულის ამსახველი ვიდეო მასალა². ქარხნის მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში, სატრანსპორტო ოპერაციების შედეგად მტვრის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, საერთოდ არაფერია ნათქვამი რკინიგზიდან გამოწვეულ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაბინძურებაზე.

5. ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოთქმული შენიშვნაზე, რომ „წარმოდგენილი იქნეს მზა პროდუქციის სამსხრევ-დამხარისხებელ და დაფასობის უბნებზე არსებული მტვერდამჭერი სისტემების სარეაბილიტაციო ღონისძიებების, მათი გამართულ მდგომარეობაში მოყვანის და ეფექტური ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია“ კომპანია პასუხობს, რომ მზა პროდუქციის სამსხრევ-დამხარისხებელი და დაფასობის უბნებზე არსებული ასპირაციული და მტვერდამჭერი სისტემების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება ინტენსიურად მიმდინარეობს და დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ პროექტი წარდგენილი იქნება სამინისტროში. მიგვაჩნია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტის წარდგენის გარეშე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამასთან, რომ იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია საქმიანობის გაგრძელების ნებართვის მიღების შემდეგ წარმოადგენს დოკუმენტს, დაინტერესებულ საზოგადოებას, დოკუმენტის გაცნობისა და მისი შეფასების შესაძლებლობა აღარ ექნება.

2.3. ნარჩენების მართვა

დოკუმენტში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოო ნარჩენების მართვის შესახებ. გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკშიც ყურადღება ძირითადად საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების მართვის საკითხზე არის გამახვილებული. მაშინ, როცა საწარმოს საქმიანობის პროცესში დიდი რაოდენობით საწარმოო ნარჩენი (ფუჭი ქანები, მლამი/ლამი) წარმოიქმნება.

² <https://bit.ly/3lbOjpo> წყარო: სამოქალაქო აქტივობა „ჩემი ქალაქი მკლავს“.

1. ანგარიშის 2.1 ქვეთავში ვკითხულობთ: „სალექარებიდან ამოღებული ლამის დასაწყობება ამ ეტაპზე ხდება სამსხვრევ-დამხარისხებელ კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო უახლოეს პერსპექტივაში დაგეგმილია სანაყაროს მოწყობა ტერიტორიის გარეთ, სადაც მოხდება მტვერის, ლამის და წიდის გადაუმუშავებელი ნაწილის დასაწყობება. რადგან აღნიშნული მასალები არ წარმოადგენს ნარჩენს და მანგანუმის მაღალი შემცველობის გამო მომავალში შესაძლებელი იქნება მათი საწარმოო დანიშნულებით გამოყენება.“ საჭიროა დაზუსტდეს: რა ტერიტორიაზე მოხდება ამ სანაყაროს მოწყობა; რა რაოდენობის ნარჩენის დასაწყობება იქნება შესაძლებელი და რა ხანგრძლივობით და რაც მთავრია, შეფასდეს სანაყაროს მოწყობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება.

2. კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ფუჭი ქანები გამოიყენება სარკინიგზო მაგისტრალის ლიანდაგების ვაკისის ქვედა ფენის მოსაწყობად, ასევე, საავტომობილო გზების მშენებლობაში. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, კომპანიაც სწორედ ამ საშუალებებით გეგმავს მათ საბოლოო განთავსებას. საკითხი ძალიან ზედაპირულადაა და განხილული და არაერთ კითხვას ბალებს.

3. ანგარიშის 2.3 ქვეთავში აღნიშნულია, რომ რკინიგზის ტრანსპორტის საამქროს ტერიტორიაზე ნიადაგის და გრუნტის ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების ფაქტები აღინიშნება. დაბინძურებული მასის რაოდენობა კი დაახლოებით 12-15 მ³-ს შეადგენს. გაურკვეველია, როგორ, რა პერიოდში და რა მეთოდით მოხდება ამ პრობლემის აღმოფხვრა.

2.4 ზოგადი სახის შენიშვნები

1. ანგარიშის მეორე ქვეთავში წარმოდგენილია „ნახაზი 2.1. ფეროშენადნობთა ქარხნის გენერალური გეგმა“. თუმცა, როგორც ნახაზის, ისე მასზე დატანილი წარწერების წაკითხვა და გარჩევა შეუძლებელია.

2. საწარმოს წარმადობასთან დაკავშირებით, დოკუმენტის სხვადასხვა ქვეთავში, განსხვავებულ ინფორმაციას ვხვდებით. პირველ ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა აწარმოებს მანგანუმის ფეროშენადნობებს: ფერომანგანუმს და სილიკომანგანუმს. ფეროშენადნობების წლიური წარმადობა 220 000 ტ“. 2.1 ქვეთავში კი ვკითხულობთ „სულ ქარხანაში სილიკომანგანუმის საპროექტო წარმადობა შეადგენს 231 ათ. ტ/წელს.“

3. დასკვნა

ნებართვის გაცემის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქ. ზესტაფონში და მიმდებარე სოფლებში არსებული ფეროშენადნობთა ქარხნის ოპერირებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების პრობლემები. ზემოქმედების კიდევ უფრო დამძიმების თავიდან ასარიდებლად, შენიშვნებში ჩამოთვლილი საკითხების დეტალური შესწავლის გარეშე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა დაუშვებლად მიგვაჩნია. ასევე, დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების მონაწილეობისათვის უსოდენ მნიშვნელობანი მექანიზმის - საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.